

საქართველოს პარლამენტის სასახლეში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის შესახებ

საქართველოს პარლამენტის სასახლეში უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის გაძლიერების, 2016–2020 წლების მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრთა მოწმობებისა და 2012–2016 წლების მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრთა მოწმობების (შემდგომ – საქართველოს პარლამენტის წევრის მოწმობა), საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვების – ელექტრონული საიდენტიფიკაციო ბარათების (შემდგომ – საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვი) გაცემის კონტროლის, საქართველოს პარლამენტის წევრებისა და სხვა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების, საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული, დანიშნული და დამტკიცებული თანამდებობის პირების, აგრეთვე იმ თანამდებობის პირების, რომელთა დანიშვნაზედაც საქართველოს პარლამენტმა მისცა თანხმობა, უცხოეთის ოფიციალური დელეგაციების, საქართველოს პარლამენტის სტუმრების, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების, საქართველოს პარლამენტში აკრედიტებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებისა და საქართველოს პარლამენტის აპარატის თანამშრომლების საქართველოს პარლამენტის სასახლესა და პლენარულ სხდომათა დარბაზში შესვლის, პლენარულ სხდომებზე დასწრების, ასევე სხდომის მომსახურების უფლების მქონე პირთა განსაზღვრის მიზნით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის „ლ“, „წ“ და „ჰ“ ქვეპუნქტებისა და 291-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად:

1. დამტკიცდეს საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვების ნიმუშები №2 დანართის შესაბამისად.

2. საქართველოს პარლამენტის წევრთა მოწმობებისა და საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვების დამზადება უზრუნველყოს საქართველოს პარლამენტის აპარატის ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტმა – №1 დანართის, №2 დანართის და №10 დანართის შესაბამისად.

3. საქართველოს პარლამენტის წევრთა მოწმობებისა და საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვების გაცემა უზრუნველყოს:

ა) საქართველოს პარლამენტის აპარატის ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტმა – №1 დანართის, №2 დანართის (გარდა მე-5–მე-11 პუნქტებისა) და №10 დანართის შესაბამისად;

ბ) საქართველოს პარლამენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტმა – №2 დანართის მე-5 პუნქტის შესაბამისად;

გ) საქართველოს პარლამენტის საშვთა ბიურომ – №2 დანართის მე-6–მე-11 პუნქტების შესაბამისად.

4. საქართველოს პარლამენტის წევრის მოწმობის ან საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვის დაკარგვისას დაუყოვნებლივ ეცნობოს საქართველოს პარლამენტის აპარატის ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტს. ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტმა უზრუნველყოს დაკარგული მოწმობის/საშვის მოქმედების შეჩერება.

საქართველოს პარლამენტის წევრის მოწმობის ან №2 დანართის პირველი-მე-5 პუნქტებით განსაზღვრული საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვის დამკარგავმა პირმა ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტს წარუდგინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფის მიერ გაცემული სათანადო ცნობა. №2 დანართის მე-6-მე-11 პუნქტებით განსაზღვრული საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვის ქალაქ ქუთაისში (ირაკლი აბაშიძის გამზირი, 26) მდებარე საქართველოს პარლამენტის სასახლეში დაკარგვისას ეცნობოს საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის (შემდგომ – დაცვის სამსახური) განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების დაცვის დეპარტამენტის IV (რეგიონალურ) სამმართველოს, ხოლო ქალაქ თბილისში (რუსთაველის გამზირი, 8) მდებარე საქართველოს პარლამენტის სასახლეში დაკარგვისას – დაცვის სამსახურის განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების დაცვის დეპარტამენტის III სამმართველოს, რომლებიც აღნიშნული ფაქტის თაობაზე ადგენენ შესაბამის აქტს.

5. ქალაქ ქუთაისში მდებარე საქართველოს პარლამენტის სასახლეში (C კორპუსი – სასახლის ის ნაწილი, რომელშიც განთავსებულია პარლამენტის ადმინისტრაციული შენობა; B კორპუსი – სასახლის ის ნაწილი, რომელშიც განთავსებულია პარლამენტის კომიტეტების, საგამომიებო და სხვა დროებითი კომისიების აპარატები; A კორპუსი – სასახლის ის ნაწილი, რომელშიც განთავსებულია პარლამენტის აპარატის დეპარტამენტები) და ქალაქ თბილისში მდებარე საქართველოს პარლამენტის სასახლეში (C კორპუსი – სასახლის ის ნაწილი, რომელშიც განთავსებულია ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზი და პირველი რესპუბლიკის სახელობის დარბაზი; B კორპუსი – სასახლის ის ნაწილი, რომელშიც განთავსებულია რუსთაველის სახელობის დარბაზი; A კორპუსი – სასახლის ის ნაწილი, რომელშიც განთავსებულია თამარ მეფის სახელობის დარბაზი) შემოსვლა განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წევრის მოწმობის/შესაბამისი საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვის წარდგენის და სპეციალური ტექნიკური მეტალოდეტექტორით შემოწმების შემდეგ. საქართველოს პარლამენტის სასახლეში გადაადგილება განხორციელდეს იმავე მოწმობის/საშვის მეშვეობით.

6. 2016–2020 წლების მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრები საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოვიდნენ საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2012 წლის 26 დეკემბრის №20/2 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქართველოს პარლამენტის წევრის მოწმობით, №1 დანართის შესაბამისად.

7. 2012–2016 წლების მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრები საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოვიდნენ „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2012 წლის 26 დეკემბრის №20/2 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქართველოს პარლამენტის წევრის მოწმობით, №10 დანართის შესაბამისად.

8. საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეები, საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის, საპარლამენტო ფრაქციების, პარლამენტის საგამომიებო და სხვა დროებითი კომისიების აპარატებისა და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების თანამშრომლები საქართველოს

პარლამენტის სასახლეში შემოვიდნენ №2 დანართის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვებით.

9. საქართველოს მთავრობის წევრები და მათი მოადგილეები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, მისი პირველი მოადგილე და მოადგილეები, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, მისი პირველი მოადგილე და მოადგილეები, საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული და დანიშნული თანამდებობის პირები, აგრეთვე ის თანამდებობის პირები, რომელთა დანიშვნაზედაც საქართველოს პარლამენტმა მისცა თანხმობა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ დანიშნული, პირველი რანგისთვის (მაღალი მმართველობითი დონე) მიკუთვნებული მოხელეები, რომლებიც არ არიან საქართველოს პარლამენტის აპარატის მოხელეები, №7 დანართის მე-4, მე-9–მე-15, მე-17–მე-19 და 21-ე პუნქტებითა და №8 დანართის 20¹, 21-ე და 22-ე პუნქტებით გათვალისწინებული პირები საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოვიდნენ №2 დანართის მე-3 პუნქტით განსაზღვრული საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვით.

10. საქართველოს პარლამენტის სასახლეში განთავსებული ორგანიზაციების თანამშრომლები საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოვიდნენ №2 დანართის მე-4 პუნქტით განსაზღვრული საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვით.

11. საქართველოს პარლამენტში აკრედიტებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოვიდნენ №2 დანართის მე-5 პუნქტით განსაზღვრული საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვით.

12. მრავალჯერადი გამოყენების საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვი და საქართველოს პარლამენტის წევრის მოწმობა გაიცემა მხოლოდ ამ ბრძანების მე-6–მე-11 პუნქტებით გათვალისწინებულ პირებზე.

13. აიკრძალოს საქართველოს პარლამენტის წევრებისა და სხვა თანამდებობის პირების თანმხლებ პირთა საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსვლა ან სასახლის სხვა კორპუსში გადაადგილება შესაბამისი საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვის გარეშე.

14. ქალაქ ქუთაისში მდებარე საქართველოს პარლამენტის სასახლეში №1, №2 და №5 საგუმავოებიდან შემოსვლის უფლება მიეცეთ №8 დანართით გათვალისწინებულ პირებს. ამასთანავე, სამსახურებრივი ავტომანქანით №1 და №2 საგუმავოებამდე გადაადგილების უფლება მიეცეთ იმავე დანართის პირველი–მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ პირებს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს და საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსს ავტომანქანის დგომის უფლებით, ხოლო მე-5–25-ე პუნქტებით გათვალისწინებულ პირებს – ავტომანქანის დგომის უფლების გარეშე.

15. ქალაქ თბილისში მდებარე საქართველოს პარლამენტის სასახლეში №1 (9 აპრილის ქუჩა) და №2 (ჭიჭინაძის ქუჩა) საგუმავოებიდან შემოსვლის უფლება მიეცეთ №9 დანართით გათვალისწინებულ პირებს. ამასთანავე, ავტომანქანით შემოსვლის უფლება იმავე დანართის I თავის პირველი–მე-6, მე-10–მე-12, მე-14, მე-15, მე-18, მე-19, 24-ე, 25-ე, 27-ე და 28-ე პუნქტებითა და II თავის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებს მიეცეთ ავტომანქანის დგომის უფლებით, ხოლო I თავის მე-7, მე-8, მე-17 და 26-ე პუნქტებითა და II თავის მე-2 და მე-5 პუნქტებით

გათვალისწინებულ პირებს – ავტომანქანის დგომის უფლების გარეშე. ამ მოთხოვნის შესრულება უზრუნველყოს დაცვის სამსახურის განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების დაცვის დეპარტამენტის III სამმართველომ16. ქალაქ ქუთაისში მდებარე საქართველოს პარლამენტის სასახლეში №4 და №7 საგუმბაგოებიდან ავტომანქანით სპეციალურ ავტოსადგომზე შესვლისა და ავტომანქანის დგომის უფლება მიეცეთ №11 დანართით გათვალისწინებულ პირებს. ამ მოთხოვნის შესრულება უზრუნველყოს დაცვის სამსახურის განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების დაცვის დეპარტამენტის IV (რეგიონალურმა) სამმართველომ. (ცვლილება 28.02.2017 №55/3)

17. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 291-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აიკრძალოს საქართველოს პარლამენტის სასახლეში ცეცხლსასროლი და ცივი იარაღებით პირთა (მათ შორის, საქართველოს პარლამენტის წევრების) შემოსვლა. დაცვის სამსახურმა უზრუნველყოს საქართველოს პარლამენტის სასახლეში ცეცხლსასროლი და ცივი იარაღების შემოტანის აღკვეთა, ხოლო შემოტანის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში რეაგირებისათვის წერილობით აცნობოს საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსს და საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარეს.

18. ქალაქ ქუთაისში მდებარე საქართველოს პარლამენტის სასახლის A, B და C კორპუსების სტუმრებისათვის საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვის დაშვების უფლება მიეცეთ №3 დანართით გათვალისწინებულ პირებს.

19. ქალაქ თბილისში მდებარე საქართველოს პარლამენტის სასახლის A, B, C და AB კორპუსების სტუმრებისათვის საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვის დაშვების უფლება მიეცეთ №4 დანართით გათვალისწინებულ პირებს.

20. საქართველოს პარლამენტის აპარატის ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტმა წერილობით აცნობოს დაცვის სამსახურს №3 და №4 დანართებით გათვალისწინებული საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვის დაშვების უფლების მქონე პირების შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

21. დაცვის სამსახურმა უზრუნველყოს საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვის დაშვების უფლების მქონე პირთათვის შესაბამისი კოდების მინიჭება და საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვების დაშვების სისტემის გამართული მუშაობა. საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვის დაშვების უფლების მქონე პირი ვალდებულია დაიცვას შესაბამისი კოდის კონფიდენციალურობა. საშვის დაშვებისას საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვის დაშვების უფლების მქონე პირმა საშვთა ბიუროს უნდა დაუსახელოს სახელი, გვარი და შესაბამისი კოდი.

22. აიკრძალოს საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვის მობილური სატელეფონო კავშირის ან საქართველოს პარლამენტის საშვთა ბიუროს კომპიუტერულ პროგრამაში დაურეგისტრირებელი ნომრის მეშვეობით დაშვება. ამასთანავე, ქალაქ ქუთაისში მდებარე საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვის დაშვება განხორციელდეს შესაბამის საშვთა ბიუროს კომპიუტერულ პროგრამაში რეგისტრირებული ნომრის მეშვეობით, ხოლო ქალაქ თბილისში მდებარე საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვის

დაშვება – შესაბამის საშვთა ბიუროს კომპიუტერულ პროგრამაში რეგისტრირებული ნომრის მეშვეობით.

23. საქართველოს პარლამენტის სასახლეში №2 დანართის მე-6–მე-11 პუნქტებით განსაზღვრული საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვებით შემოსვლა განხორციელდეს პასპორტის ან საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემთხვევაში, ხოლო სხვა დოკუმენტის წარდგენისას ან პასპორტის/საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის უქონლობისას – მხოლოდ შესაბამისი საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვის დამშვები პირის თანხლებით.

24. დაწესდეს საქართველოს პარლამენტის საშვთა ბიუროს მუშაობის შემდეგი გრაფიკი: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით – 9⁰⁰ საათიდან 22⁰⁰ საათამდე, შაბათს – 9⁰⁰ საათიდან 20⁰⁰ საათამდე, ხოლო კვირას – 9⁰⁰ საათიდან 17⁰⁰ საათამდე.

25. აიკრძალოს 24⁰⁰ საათის შემდეგ საქართველოს პარლამენტის სასახლეში №2 დანართის მე-6–მე-11 პუნქტებით განსაზღვრული საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვებით შემოსულ სტუმართა სასახლეში დარჩენა.

26. საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომებზე დასწრების უფლება მიეცეთ:

ა) №5 დანართით გათვალისწინებულ საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეებს, რომლებიც ახორციელებენ სხდომის მომსახურებას და პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზში იკავებენ მათთვის განკუთვნილ ადგილებს;

ბ) №7 დანართით გათვალისწინებულ პირებს, რომელთათვისაც პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზში განკუთვნილია სპეციალური ადგილები საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.

27. საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზში შესვლის უფლება მიეცეთ №6 დანართით გათვალისწინებულ საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეებს.

28. სახელმწიფო დაწესებულებებიდან საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საკითხების განხილვაზე დასწრების მსურველ იმ პირთა დაშვების საკითხს, რომლებიც გათვალისწინებული არ არიან №7 დანართით, წყვეტს საქართველოს პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსი. მათზე გაიცემა №2 დანართის მე-7, მე-8, მე-10 და მე-11 პუნქტებით განსაზღვრული საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვები.

29. პარლამენტის სტუმრების საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზში შესვლისა და სხდომაზე დასწრების საკითხს წყვეტს საქართველოს პარლამენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის უფროსი საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსთან შეთანხმებით, რის შესახებაც წერილობით ეცნობება დაცვის სამსახურს. მათზე გაიცემა №2 დანართის მე-7, მე-8, მე-10 და მე-11 პუნქტებით განსაზღვრული საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვები.

30. პარლამენტის ოფიციალური და საპატიო სტუმრების საქართველოს პარლამენტის სასახლესა და პლენარულ სხდომათა დარბაზში შესვლისა და სხდომაზე დასწრების საკითხს წყვეტს საქართველოს პარლამენტის აპარატის საერთაშორისო

ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსთან შეთანხმებით, რის შესახებაც წერილობით ეცნობება დაცვის სამსახურს.

31. საქართველოს პარლამენტის სასახლეში უსაფრთხოების კონტროლის გაძლიერების მიზნით საქართველოს პარლამენტის აპარატის პასუხისმგებელმა პირებმა დაცვის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად ყოველდღიურად (24⁰⁰ საათის შემდეგ) დაათვალიერონ საქართველოს პარლამენტის სასახლე, დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მისცენ მას სათანადო მსვლელობა და ოპერატიულად აცნობონ საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსს.

32. საქართველოს პარლამენტის აპარატს უფლება აქვს, ამ ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოითხოვოს, მიიღოს და გამოიყენოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცული, ფიზიკური პირის იდენტიფიცირებისათვის საჭირო პერსონალური მონაცემები.

33. საქართველოს პარლამენტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტომანქანის დგომა დასაშვებია მხოლოდ ავტოსადგომზე, სპეციალური საშვით, რომელსაც გასცემს საქართველოს პარლამენტის აპარატის სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტი დაცვის სამსახურთან შეთანხმებით.

34. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსმა.

35. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს პარლამენტის სასახლეში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2013 წლის 25 თებერვლის №11/3 ბრძანება.

36. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

37. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

ირაკლი კობახიძე